

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურჩასული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #83

ქ. თბილისი

2021 წელი, 5 მარტი, 13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ვახტანგ შაქარიშვილი, დავით უთმელიძე, ჯაბა ჯიშკარიანი, თევდორე ისაკაძე, დავითა ჭყელიძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: გიორგი გაბაშვილი, ნიკოლოზ ვაჩიიშვილი

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ლევან ჟორჟოლიანი - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

თემურ ბოლოთაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი

ოთარ ჩიტიძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ნინო ბაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

გიგა გიგაშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით შპს „ოპტიმას“ (ს/ნ 405160819) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03210604-03 01.03.2021)

2.	<p>ქ. თბილისში, შარტავას ქ. №3 (ს/კ №01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ №01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა 1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ №01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ №01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ № 45-47-49 (ს/კ №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142), ბოხუას ქ. №10, (ს/კ №01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერას მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „პილარ ჯგუფი - კრწანისის“ (ს/ნ 406282240) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, კრწანისის I ჩიხი, № 2ბ (ს/კ №01.18.06.018.104) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03210604-03 01.03.2021)</p>
3.	<p>„ქ. თბილისში, შარტავას ქ. №3 (ს/კ №01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ №01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ №01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ №01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ № 45-47-49 (ს/კ №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142), ბოხუას ქ. №10, (ს/კ №01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ეპიკ ისანის“ (ს/ნ 401992368) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქუჩა №48 (ს/კ №01.17.11.027.065) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-03210604-03 01.03.2021)</p>
4.	<p>„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032104946-03 18.02.2021; №12-032105459 -03 23.02.2021; №12-032105738-03 26.02.2021; №12-032105739-03 26.02.2021; 12-032104393-03 – 12.02.2021 - „კ“ პოზიცია)</p>
5.	<p>„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032106071-03 01.03.2021; №12-032106093-03 01.03.2021)</p>

6.	ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევი, №11, №13, №7, №15, №17, №19, №9-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდეხი: №72.16.15.563, №72.16.15.564; №72.16.15.561; №72.16.15.565; №72.16.15.566; №72.16.15.544; №72.16.15.562) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12 032106110 03 02.03.2021)
7.	„ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. N25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03210631-03 04.03.2021)
8.	„ქ. თბილისში, გლდანი- ნამალადევის რაიონში, ჭყონდიდელის ქ. N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.018) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 15 მარტის N436 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032106316-03 04.03.2021)
9.	ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მარცხენა სანაპიროსა და ა. მირცხულავას 9/11-ის მიმდებარე აშხანაგობა „გეომერიდიანი“-ის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტები) შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 15 იანვრის N01/14 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032106317 03 04.03.2021)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგა დაამტკიცა.

1. დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების ძივნით შპს „ოპტიმას“ (ს/ნ 405160819) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშეწყობი ღონისძიებების

გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03210604-03
01.03.2021)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადგილობრივი საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჯოლიანმა. მისი თქმით, „ტექნიკური რეგლამენტის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების სახით შესაძლებელია, განხორციელდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, ასევე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან (შენობანაგებობათა მაქსიმალური სიმაღლე, ფუნქციური ზონა და მისი რეგლამენტი, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით/ განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნები, სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციები, მიჯნის ზონისა და შენობა-ნაგებობის განთავსების წესის, ავტოსადგომების რაოდენობისა და სხვა) განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცება ან მათში ცვლილების შეტანა. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები გამოიყენება დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით გამოყენებულ ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობად მიჩნეულ პირვანდელ საპროექტო ობიექტზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე, ამგვარი მიწის ნაკვეთის დაყოფის შედეგად წარმოშობილ მიწის ნაკვეთებზე, ასევე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით გამოყოფილ ან გამოყენებულ სხვა ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე). ხოლო მე-7 პუნქტის თანახმად, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არ არის შეზღუდული გადაწყვეტილების მიღების ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე უარის შესახებ, ეს გადაწყვეტილება აღარ საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

კომისიამ იხელმძღვანელა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტით, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 26 თებერვლის N21.234.272 გახკარგულებით და თვლის, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები იძლევა სამართლებრივ საფუძველს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე

2. ქ. თბილისში, შარტავას ქ. №3 (ს/კ №01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ №01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ №01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ №01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ № 45-47-49 (ს/კ №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142), ბოხუას ქ. №10, (ს/კ №01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „პილარ ჯგუფი - კრწანისის“ (ს/ნ 406282240) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, კრწანისის I ჩიხი, № 2ბ (ს/კ №01.18.06.018.104) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03210604-03 01.03.2021)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა. მისი თქმით, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების სახით შესაძლებელია, განხორციელდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, ასევე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან (შენობანაგებობათა მაქსიმალური სიმაღლე, ფუნქციური ზონა და მისი რეგლამენტი, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით/ განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნები, სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციები, მიჯნის ზონისა და შენობა-ნაგებობის განთავსების წესის, ავტოსადგომების რაოდენობისა და სხვა) განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი და სამშენებლო

დოკუმენტაციის დამტკიცება ან მათში ცვლილების შეტანა. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები გამოიყენება დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით გამოყენებულ ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე (მათ შორის, დაუმთავრებელ მშენებლობად მიჩნეულ პირვანდელ საპროექტო ობიექტზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე, ამგვარი მიწის ნაკვეთის დაყოფის შედეგად წარმოშობილ მიწის ნაკვეთებზე, ასევე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით გამოყოფილ ან გამოყენებულ სხვა ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე). ხოლო მე-7 პუნქტის თანახმად, დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არ არის შეზღუდული გადაწყვეტილების მიღების ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე უარის შესახებ, ეს გადაწყვეტილება აღარ საჭიროებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

კომისიამ იხელმძღვანელა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტით, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 26 თებერვლის N21.235.269 განკარგულებით და თვლის, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები იძლევა სამართლებრივ საფუძველს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

3. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. №3 (ს/კ №01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ №01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ №01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა №2 (ს/კ №01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ № 45 47 49 (ს/კ №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142), ბოხუას ქ. №10, (ს/კ №01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ეპიკ ისანის“ (ს/ნ 401992368) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქუჩა №48 (ს/კ №01.17.11.027.065) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკიოხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021

წლის 29 იანვრის №25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ
(საკრებულოს №12-03210604-03 01.03.2021)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა. მისი თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი სამართლებრივად გამართულია შემდეგ გარემოებათ გამო: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

კომისიამ იხელმძღვანელა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 იანვრის N21.60.69 და 2021 წლის 26 თებერვლის N21.230.270 განკარგულებებით და თვლის, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები იძლევა სამართლებრივ საფუძველს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032104946-03 18.02.2021; №12-032105459 -03 23.02.2021; №12-032105738-03 26.02.2021; №12-032105739-03 26.02.2021; 12-032104393-03 – 12.02.2021 - „კ“ პოზიცია)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-032104946-03 18.02.2021; №12-032105459 -03 23.02.2021; №12-032105738-03 26.02.2021; №12-032105739-03 26.02.2021; 12-032104393-03 – 12.02.2021 - „კ“ პოზიცია) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის

გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 27 წინადადება, კერძოდ:

№12-032104946-03 18.02.2021;

ა) ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, მიკრო/რაიონი IV, 03/068 მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.003.068) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N01.17.10.003.068 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 9 თებერვლის N18-01210393761 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმად, წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 ის (რზ 2) ფენის მოხსნა.

კომისიის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით მითითებული ზონის ცვლილება გადადებულ იქნეს.

ბ) ქალაქ თბილისში, ქ. წამებულის გამზირზე, რესტორან „ალაზანი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.17.13.037.022; N01.17.13.037.021, N01.17.13.037.018) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური 2021 წლის 17 თებერვლის N0121048223 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, საკადასტრო ერთეულის საზღვრებში სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების წინაარმდეგი არ არის. ამასთან, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკადასტრო ერთეულის

საზღვრებს მიღმა მონაკვეთებზე (აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს) მოხდეს სატრანსპორტო ზონის სწორხაზოვნად გავრცელება. საპროექტო მიწის ნაკვეთების საზღვრებს მიღმა მოუწესრიგებელია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების არეალი. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება. აქედან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, N01.17.13.037.022; N01.17.13.037.021 და N01.17.13.037.018 საკადასტრო ერთეულების საზღვრის შიგნით სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) შეიცვალოს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სზ-2). ხოლო, აღნიშნული მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრის მიღმა არსებული საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სზ-2) შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

კომისიის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით მითითებული ზონის ცვლილება გადადებულ იქნეს.

გ) ქალაქ თბილისში, გლდანში, მარჯანიშვილის (პუშკინის) ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.11.11.014.033) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 11 თებერვლის N01210423198 წერილის მიხედვით, ვინაიდან, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საგრძნობლად არ ცვლის და არ ამცირებს სატრანსპორტო ზონის კონფიგურაციასა და მის პარამეტრს, არ გამოიწვევს უარყოფით და არსებით ცვლილებას, რომელმაც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში სამომავლოდ შეიძლება დაბრკოლებები შექმნას, ზონის მოთხოვნილი სახის ცვლილება დასაშვებია. ამასთანავე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ არსებული N01.11.11.014.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება მოხდეს საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2). გარდა ამისა, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება ხორციელდება ასევე, N01.11.11.014.033 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე.

კომისიის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით მითითებული ზონის ცვლილებას უარი ეთქვას.

დ) ქალაქ თბილისში, წყნეთში, ბაგების სატყეო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.010.452) და მიმდებარე ტერიტორიაზე

მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა1-ით (ტზ-1) ცვლილება და სატრანსპორტო ზონა1-ის (ტზ-1) ცვლილება სატყეო ზონით (სატყეო). ამასთან, გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების არეალი აცდენილია ფაქტობრივი მდგომარეობით არსებულ გზას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია გასწორდეს აღნიშნული ხარვეზი და იქნეს მოყვანილი შესაბამისობაში არსებულ გზასთან. 2021 წლის 12 თებერვლის N18-01210433515 წერილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყნეთში, ბაგების სატყეო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.010.452) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა1-ით (ტზ-1) ცვლილება და სატრანსპორტო ზონა-1-ის (ტზ-1) ცვლილება სატყეო ზონით მისაღებია. ცვლილებას ექვემდებრება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონაც;

ე) ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქ. N55-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.18.03.065.003) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრის წერილის მიხედვით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელებულია არსებული შენობა-ნაგებობის ნაწილზე. შესაბამისად, საპროექტო მონაკვეთი არ წარმოადგენს საჯარო სივრცეს და ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. N01.18.03.065.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოქცეულია ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების დანართი N2-ის მე-3 პუნქტის მიხედვით, თბილისის ისტორიული ნაწილის დამცავი ზონებით მოცულ ტერიტორიაზე სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონით, მოცემული დადგენილებითა და განაშენიანებული რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 თებერვლის N60-0121046335 წერილის შესაბამისად, აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N4 11.02.2021წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, ლესელიძის ქ. N55-ში N01.18.03.065.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი

ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქ. N55-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.18.03.065.003) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, ვეკუას ქ. N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.032 ის ნაწილი) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 16 თებერვლის N01210472912 წერილის შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ქალაქ თბილისში, ვეკუას ქუჩა, N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.032) ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების წინააღმდეგი არ არის. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მის მომიჯნავედ N01.18.03.011.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის ნაწილს, რომელიც განვითარებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 ის (სსზ-2) ფარგლებში შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიას არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. შესაბამისად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია N01.18.03.011.002 და N01.18.03.011.032 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე გავრცელდეს იდენტური ზონირება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვეკუას ქ. N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: 01.18.03.011.032-ის ნაწილი) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, გივი სვანიძის ქუჩა N2-16ა; ი. ჭავჭავაძის გამზირი N75ა-გ და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: N01.14.07.008.041; N01.14.07.008.039; N01.14.07.008.115; N01.14.07.008.137; N01.14.07.008.090; N01.14.07.008.097; N01.14.07.008.081; N01.14.07.008.040; N01.14.07.008.043; N01.14.07.008.111; N01.14.07.008.060; N01.14.07.008.063; N01.14.07.008.109; N01.14.07.008.165, N01.14.07.006.033 მიწის ნაკვეთების ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6). საპროექტო არეალის უმეტესი ნაწილი მოქცეულია სპეციალური შეზღუდვის ზონაში, კერძოდ, მდინარეთა შეტბორვის არეალში, რომელზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 28-ე მუხლისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მიხედვით, ვრცელდება სპეციალური რეჟიმი. შესაბამისად, ზონის ცვლილება დასაშვებია შეტბორვის არეალის მიღმა არსებულ საკადასტრო ერთეულებზე. ამასთანავე, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების გარკვეულ ნაწილზე ვრცელდება სასაფლაოების სანიტარიული დაცვის არეალი და ასევე,

მოქცეულია „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების დანართი N1.9 „საშიში გეოდინამიკური პროცესების მიხედვით სახილასის დარაიონების რუკით“ დადგენილი მაღალი გეოდინამიკური საფრთხის ზონაში. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). მოთხოვნილი სახით ცვლილების შედეგად რუკაზე წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ასევე ხორციელდება მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) გავრცელება. ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრეების კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საპროექტო ტერიტორიის კონტურში, მდინარეთა შეტბორვის არეალის მიღმა არსებულ მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 6-ით. (სზ-6).

კომისიის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით მითითებული ზონის ცვლილება გადადებულ იქნეს.

თ) ქალაქ თბილისში, გლდანში მიმავალი ახალი მაგისტრალის მარჯვენა მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.020.121) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 10 თებერვლის N01210413410 წერილის მიხედვით, სამსახურმა შეითანხმა (2021 წლის 26 იანვრის N16-01210262565 წერილით) საპროექტო ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის. ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე არსებობს ავტომომსახურეობის ობიექტი. იგეგმება არსებული ავტომომსახურეობის ობიექტების ვიზუალური მოწყობის არსებული მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 3 (სსზ-3), რომელიც წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის ზონას და ვითარდება სარაიონო და საქალაქო დანიშნულების მაგისტრალის მიმდებარედ თავისუფალ ტერიტორიებზე, განვითარებულია ღია ავტოსადგომებით და უმეტესად განკუთვნილი სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და ლოგისტიკური ფუნქციებისათვის. შესაბამისად, იმის გათვალისწინებო, რომ იგეგმება არსებული ავტომომსახურეობის ობიექტების ვიზუალური მოწყობის, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.020.121) მიზანშეწონილია გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) ავტოგასამართი კომპლექსის, მძღოლებისა და მგზავრების მომსახურების ობიექტების (საწვავით გასამართი სადგური, სუპერმარკეტი, სწრაფი კვების ობიექტი და სხვა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები) განთავსების პირობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მიმავალი ახალი მაგისტრალის მარჯვენა მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.020.121) საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 3-ის (სსზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება მისაღებია ავტოგასამართი კომპლექსის, მძღოლებისა და მგზავრების მომსახურების ობიექტების (საწვავით გასამართი სადგური, სუპერმარკეტა, სწრაფი კვების ობიექტი და სხვა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები) განთავსების პირობით.

ი) ქალაქ თბილისში, წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.20.01.122.074) მოთხოვნილია ძირითადი რუკით გავრცელებული სატყეო ზონის და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 27 იანვრის N18-01210271523 წერილის მიხედვით თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონა (ლსზ). აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 17 თებერვლის N0121048215 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა განხორციელდეს ძირითადი რუკით გავრცელებული სატყეო ზონის და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

კომისიის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით მითითებული ზონის ცვლილება გადადებულ იქნეს.

კ) ქალაქ თბილისში, ზაჭესში, თავისუფლების ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.12.02.644) მოთხოვნილია ძირითადი რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს 1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 3-ისა (რზ 3) და სარეკრეაციო ზონა-2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 21 დეკემბრის N01203561222 წერილის მიხედვით სამსახური თანახმაა წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ამასთანავე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენა. N72.12.02.644 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) მომიჯნავედ. აღნიშნულ ზონაში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშროება/მაგნე საწარმოო პროცესები. აღნიშნული და მიმდებარედ არსებული ტერიტორიის განვითარება იგეგმება სწორედ სამრეწველო ზონა

1-ში (ს-1) დასაშვები სახეობებით. ასევე, საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.12.02.644) იგეგმება სასაწყობე-სამრეწველო ტიპის შენობა-ნაგებობის განთავსება.
კომისიის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით მითითებული ზონის ცვლილება გადადებულ იქნეს

ლ) ქალაქ თბილისში, კატო მელქაძის I ჩიხი, N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.289) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 16 თებერვლის N01210472316 წერილით, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.72.14.007.289 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). შესაბამისად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება არ გამოიწვევს ზონის არეალის ფრაგმენტაციას და მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კატო მელქაძის I ჩიხი, N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.289) ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია;

მ) ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.05.01.060 და მიმდებარედ) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ცვლილებით გამოწვეულ სარეკრეაციო ადგილებისა და მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ხორციელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 17 თებერვლის N18-0121048461 წერილით, თანახმაა დაწარმის სახით წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში,

სოფელ ფონიჭალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.05.01.060 და მიმდებარედ) პირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მისაღება.

№12-032105459-03 23.02.2021;

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.95.412; N81.02.01.770) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.95.412; N81.02.01.770) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N51 განაკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.95.412; N81.02.01.770) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. მისაღება.

№12-032105738-03 26.02.2021;

ა) ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირ N117 (ნაკვეთები: 01/011 და 01/009), N117ბ, N117გ და N117-ე-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.001.011, N01.13.06.001.027, N01.13.06.001.015, N01.13.06.001.016 და N01.13.06.001.036) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის N117ე, 117, 117ბ, 117გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.001.036, N01.13.06.001.011; N01.13.06.001.015; N01.13.06.001.027; N01.13.06.001.016) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N50 განაკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირ N117 (ნაკვეთები: 01/011 და 01/009), N117ბ, N117გ და N117-ე-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.06.001.011, N01.13.06.001.027, N01.13.06.001.015, N01.13.06.001.016 და N01.13.06.001.036) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.06.003.035) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.06.003.035) და მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტულ-საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N59 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.14.06.003.035) და მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

გ) ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 194-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „ქალაქთბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 194-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N60 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 194-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.011.003) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

დ) ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.10.007.038; N01.11.10.007.024; N01.11.10.007.039; N01.11.10.007.031; N01.11.10.007.029; N01.11.10.007.035) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.007.001), მრავალფუნქციური კომპლექსის (სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ავტოკაუსი, სასტუმრო, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 12 ივნისის N1205 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 თებერვლის N62 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის საცხოვრებელ რაიონში, საზოგადოებრივი ცენტრის ტერიტორიაზე V და VI მიკრორაიონებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.10.007.038; N01.11.10.007.024; N01.11.10.007.039; N01.11.10.007.031; N01.11.10.007.029; N01.11.10.007.035) ფუნქციური

ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

№12-032105739-03 26.02.2021;

ა) ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.13.072) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონისა და საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა N81.01.01.837 საკადასტრო ერთეულისთვის მისასვლელი გზის მოწყობის მიზნით, N81.01.13.072 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნის საკითხზე დადებითი პოზიცია დააფიქსირა 2020 წლის 23 ოქტომბრის N18-01202972399 წერილით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ 2020 წლის 29 დეკემბრის N16-0120364313 წერილით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეითანხმა საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა. შესაბამისად, 2021 წლის 17 თებერვლის N0121048607 წერილით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების, კერძოდ, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების წინააღმდეგი არ არის.

ზ/აღნიშნული პოზიცია ტერიტორიის სივრცითი მოწყობის თვალსაზრისით გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით.

ბ) ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩის II შესახვევში N11 და N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (N01.18.06.011.005; N01.18.06.011.037) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6). აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია საშუალო და მაღალი ინტენსივობით. ქაოტური განაშენიანების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, შენობა-ნაგებობების მოცულობები განისაზღვროს მიმდებარე განაშენიანების შესაბამისად, საპროექტო ობიექტის ჰორიზონტალური განვითარების გზით ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩის II შესახვევში N11 და N13 ში მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე (N01.18.06.011.005; N01.18.06.011.037) საცხოვრებელი ზონა 5-ის (სზ-5) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, სოფელ დილომი, დიდ დილომში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.044.227) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ტერიტორიის ყრთაანა სახის განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტი მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 26 იანვრის N18-01210262510 და 22 თებერვლის N18-01210531223 წერილების მიხედვით, თანახმაა N01.72.14.044.227 მიწის ნაკვეთის ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: 01.72.14.044.744; 01.72.14.044.225; 01.72.14.044.661; 01.72.14.044.517; 01.72.14.065.318; 01.72.14.044.743) ნაწილზე და მათ შორის არსებულ დაურეგისტრირებელ სივრცეზე) განხორციელდეს ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და მოიხსნას თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დილომი, დიდ დილომში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.044.227) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის (სატყეო) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლება, III მ/რ, ისააკიანის ქ. N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.05.001.004) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანებული ფენის მოხსნა. მოთხოვნილი ცვლილებით დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით N01.12.05.001.002 საკადასტრო ერთეულის ნაწილზეც იხსნება გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანებული ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 22 თებერვლის N01210532972 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, ზემოაღნიშნული ტერიტორიის ნაწილზე, წარმოდგენილი საპროექტო ფუნქციური ზონირების შესაბამისად, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა და შემდგომში, ტერიტორია სამშენებლოდ განვითარდეს იმგვარად, რომ შენარჩუნებული იქნას მასზე არსებული მწვანე ნარგავები ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის

დასახლება, III მ/რ, ისააკიანის ქ. N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: N01.12.05.001.004, N01.12.05.001.002) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანებული ფენის მოხსნა მისაღებია მასზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნების პირობით;

ე) ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მიკრო/რაიონი I, კორპ. N2ა-ს მიმდებარედ (ნაკვეთი 06/019) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.019) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 6 ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ამასთანავე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, N01.11.12.006.019 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე განიხილება ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნის საკითხი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 19 თებერვლის N18-01210503120 წერილით, თანახმაა განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივის ფარგლებში წარდგენილ ტერიტორიაზე, განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, მიკრო/რაიონი I, კორპ. N2ა-ს მიმდებარედ (ნაკვეთი 06/019) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.019) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონის (რზ) ფენის მოხსნა მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, დიდმის სასწ. საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.008.234) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სპეციალური ზონა 2-ის (სპეცზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული

